

წყაროები, დოკუმენტები

მიმართვა აფხაზი ხალხისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

აფხაზთა და ქართველთა ძმობა უხსოვარი დროიდან იწყება. ჩვენი საერთო კოლხური წარმოშობა, გენეტიკური ნათესაობა ჩვენს ხალხებსა და ენებს შორის, საერთო ისტორია, საერთო კულტურა გვავალებს დღეს დიდ დაფიქრებას ჩვენი ხალხების მომავალ ბედ-იღბალზე. ჩვენ ერთ მიწა-წყალზე ვცხოვრობდით მუდამ და ერთმანეთის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით. ჩვენ საერთო სამეფო გვქონდა საუკუნეთა განმავლობაში, ერთ ტაძარში ვლოცულობდით და ერთ ბრძოლის ველზე ვიბრძოდით საერთო მტრების წინააღმდეგ.

უძველესი აფხაზური გვარების წარმომადგენლები დღესაც არ ანსხვავებენ ურთიერთისაგან აფხაზსა და ქართველს. აფხაზთა მთავრები შერვაშიძეები, საკუთარ თავს არა მხოლოდ აფხაზ, არამედ ქართველ თავადებსაც უწოდებდნენ, ქართული ენა მათთვის დედა ენა იყო, ისევე როგორც იმჟამინდელი აფხაზი მწერლებისათვის. „ვეფხისტყაოსნის“ კულტურა გვაკავშირებდა ჩვენ და უძველესი ქართული ტაძრები, ძველი ქართული წარწერებით დამშვენებულნი, დღესაც რომ დგანან აფხაზეთში და ხიბლავენ მნახველს, ჩვენს შორის იყო გადებული თამარის ხიდი მდინარე ბესლეთზე, სოხუმის მახლობლად, დღესაც რომ ამშვენებს უძველესი ქართული წარწერა. ბედია და მოქვი, ამბრა, ბიჭვინთა და მრავალნი სხვანი მოწმენი არიან ამ ძმობისა და ერთობისა.

აფხაზი მუდამ ამაღლებული, რაინდული კეთილშობილების სიმბოლო იყო ქართველის ცნობიერებაში. ამას მოწმობს აკაკის „გამზრდელი“ და სხვა მრავალი შედევრი ქართული მწერლობისა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სწორედ ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ კიდევ მეტად გაუთქვა სახელი მთელს ქვეყანაზე აფხაზურ კულტურასა და ყოფას, აფხაზი ხალხის გმირობასა და კეთილშობილებას თავისი „მთვარის მოტაცებით“. ქართველმა მეცნიერებმა – ნიკო მარამ, არნოლდ ჩიქობავამ, ქეთევან ლომთათიძემ გადამწყვეტი როლი შეასრულეს აფხაზოლოგიის დაფუძნებაში, აფხაზური ენის გრამატიკის სისტემატიზაციის საქმეში; ქართველმა ისტორიკოსებმა – ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა და სხვებმა კი აფხაზეთის ისტორიის საკვანძო საკითხების კვლევაში, ხოლო აფხაზები ყოველთვის დიდ როლს ასრულებდნენ ჩვენი საერთო სამეფოსა განმტკიცებასა და კულტურულ აღმშენებლობაში.

ჩვენ მრავალი იმპერიის შემოტევას გავუძელით, ჩვენი ძმობა და მეგობრობა ვერ დაარღვიეს ვერც რომაელებმა, ვერც ბიზანტიელებმა, ვერც არაბებმა, ვერც თურქებმა, მაგრამ აი მეცხრამეტე – მეოცე საუკუნეში ჩვენ დაგვიპირისპირდა იმპერიათა შორის უვერაგესი და უბოროტესი – რუსეთის იმპერია,

რომელმაც არანახული უბედურება მოუტანა ჩვენს ხალხებს. რუსეთის იმპერიამ თურქეთში გადაასახლა აფხაზი ხალხის დიდი ნაწილი, მანვე გააუქმა აფხაზეთის სამთავრო, გააუქმა საქართველოს სამეფო და მიზნად დაისახა ჩვენი ხალხების სრული ასიმილაცია და მოსპობა. მან დაინახა, რომ ამას ვერ განახორციელებდა მხოლოდ სისხლიანი რეპრესიებით და გენოციდით, ამიტომ გამოიყენა ყველა იმპერიის ნაცადი ხერხი „Divide et impera“ – გათიშე და იბატონე და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთდასაპირისპირებლად. თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც ამას აღნიშნავდა თვით ნესტორ ლაკობა, ცარიზმმაც ვერ შესძლო აფხაზებსა და ქართველებს შორის უშუღლის ჩამოგდება. მაგრამ დღევანდელმა მოდერნიზებული კომუნისტურმა იმპერიამ, საუბედუროდ, მიაღწია ამას თავისი მეშვეობით, რაც მისი გეგმით დასაწყისი უნდა გახდეს კავკასიის ბალკანიზაციისა და ლიბანიზაციისა, რათა ცენტრმა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები და ჰეგემონია ამიერკავკასიაში.

ჩვენ პატივს ვცემთ აფხაზი ხალხის ეროვნულ და კულტურულ უფლებებს: თქვენს სახელმწიფოებრიობას, თქვენს ენას, კულტურას, აფხაზურ სკოლას, თეატრს, ყოველნაირად ვცდილობთ საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრას; მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური ხელმძღვანელობა არ ამჟღავნებს სათანადო მზადყოფნას მოლაპარაკებისთვის, ადგას ჩვენს მიმართ კონფრონტაციის გზას, ამჟღავნებს სეპარატისტულ ტენდენციებს, საფრთხეში აგდებს მშვიდობას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

დღეს დიდი ხმაურია ატეხილი გალში ჩვენს მიერ პრეფექტის დანიშვნასთან დაკავშირებით. როგორც იცით, ჩვენი კანონის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უნდა წარმოადგინოს პრეფექტის კანდიდატურები, რომლებიც ჩვენ უნდა დავამტკიცოთ. ამავე კანონის თანახმად, განმარტების მიხედვით, თუ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ წარმოადგენს ასეთ კანდიდატურებს, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება აქვს თავად დანიშნოს პრეფექტი. მიუხედავად ჩვენი არაერთგზის თხოვნისა, ბატონი არძინბა არ ჩამოვიდა თბილისში, არ დაესწრო პრეზიდიუმის სხდომებს, რომლის წევრადაც იგი ითვლება და არ წარმოადგინა პრეფექტის კანდიდატურა, ამიტომაც დაინიშნა გალში პრეფექტი. ამჟამად ჩვენ მას მივეცი ვადა სხვა კანდიდატურების წარმოდგენისა, რასაც იგი კვლავ აჭიანურებს.

ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ იგი ბოიკოტს უცხადებს ჩვენს პარლამენტს, ჩვენს პოლიტიკას პრეფექტურებთან დაკავშირებით და სურს აფხაზეთში შეინარჩუნება კომუნისტური წყობილებისა, მმართველობის კომუნისტური სისტემისა. მაგრამ ჩვენ უნდა შევახსენოთ მას, რომ კომუნისტური სისტემა და საბჭოთა იმპერია დღეს განწირულია და ამაოდ ცდილობენ მავანნი და მავანნი ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას. ადრე თუ გვიან საბჭოთა კავშირის

დამონებული ხალხები გადაიდგებენ კომუნისტური დიქტატურის უღელს და მაშინ არძინბას მსგავსი მოღვაწეები შეფასდებიან, როგორც საკუთარი ხალხის მოღალატენი.

დღეს მთელი მსოფლიო გმობს გორბაჩოვის რეპრესიულ პოლიტიკას დაპყრობილი ერების მიმართ, ლიტვაში და ლატვიაში ჩადენილ ბარბაროსობას. ასე, რომ საბჭოთა ტანკების იმედი ნულარავის ექნება. მსოფლიო გმობს, აგრეთვე, ცენტრის მიერ ინტერფრონტების და „ხსნის კომიტეტების“ შექმნის მცდელობას ხალხის მიერ არჩეული მთავრობების დამხობის მიზნით. და აი, ასეთ დროს აფხაზეთში შეიქმნა ინტერფრონტი, რომელსაც სურს გაიმეოროს ბალტიისპირეთის მოდელი, ხოლო არძინბა გამუდმებით იწვევს იმპერიის ჯარს, რათა სისხლისღვრა გამოიწვიოს აფხაზეთში. მან უკვე მიაღწია შინაგანი ჯარის შემოყვანას ბაბუშერაში, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ მსოფლიო ისევე დაგმობს მის საქციელს, როგორც დაგმო ბალტიისპირეთის „ხსნის კომიტეტები“. ამით არძინბას სურს აფხაზი ხალხი ჩაითრიოს სახიფათო ავანტურაში, რომელიც მას სირცხვილსა და უბედურებას მოუტანს. ასევე სახიფათო იქნება აფხაზეთის მოსახლეობისათვის მონაწილეობა 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში, რაც მიზნად ისახავს ეროვნებათშორისი უფლის გაღვივებას აფხაზეთში, ქართველების, აფხაზების, სომხების, რუსების და სხვა ეროვნებების ურთიერთდაპირისპირებას, ხალხთა შორის სისხლისღვრის პროვოცირებას. ამიტომ მოგიწოდებთ: ნუ აყვებით პროკომუნისტებს, ჩვენი ისტორიული მტრების აგენტებს და პროვოკატორებს, ბოიკოტი გამოუცხადეთ საბჭოთა რეფერენდუმს და მონაწილეობა მიიღეთ საქართველოს რესპუბლიკის 31 მარტის რეფერენდუმში, რომელიც დაკავშირებული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან. დამოუკიდებელი საქართველო თქვენ უფრო მეტს მოგცემთ, ვიდრე მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია, რომლის მიზანიც არის ყველა პატარა ხალხის ასიმილაცია და რუსიფიკაცია. თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ჭეშმარიტად თვითმყოფადი აფხაზეთი, ჭეშმარიტი თვითმმართველობით, როგორც მას ჰქონდა აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს არსებობის დროს სუკუნეთა განმავლობაში.

გაუმარჯოს ჩვენს ისტორიულ ძმობას, ერთობას და დამოუკიდებლობას! გვფარავდეს ღმერთი სიყვარულისა და ჭეშმარიტებისა!

სიყვარულით და პატივისცემით

ზვიად გამსახურდია.
თბილისი, 1991 წ. მარტი

Обращение к абхазскому народу

Дорогие соотечественники!

Братство абхазов и грузин восходит к незапамятным временам. Наше общее колхское происхождение, генетическое родство между нашими народами и языками, общность истории, общность культуры обязывает нас сегодня серьезно призадуматься над дальнейшими судьбами наших народов. Мы всегда жили на одной земле, деля друг с другом и горе, и радость. У нас в течение столетий было общее царство, мы молились в одном храме и сражались с общими врагами на одном поле битвы.

Представители древнейших абхазских фамилий и сегодня не отличают друг от друга абхазов и грузин. Абхазские князя Шервашидзе называли себя не только абхазскими, но и грузинскими князьями, грузинский язык наравне с абхазским являлся родным языком для них, как и для абхазских писателей того времени. Нас связывали между собой культура “Вепхисткаосани” и древнейшие грузинские храмы, украшенные грузинскими надписями, те, что и сегодня стоят в Абхазии, покоря зритель своей красотой. Нас соединил мост царицы Тамар на реке Беслети близ Сухуми, и ныне хранящий старинную грузинскую надпись, Бедиа и Мокви, Лихны, Амбра, Бичвинта и многие другие памятники – свидетели нашего братства, нашего единения.

Абхаз в сознании грузина всегда был символом возвышенного, рыцарского благородства. Об этом свидетельствуют поэма Акакия Церетели “Наставник” и многие другие шедевры грузинской литературы. Мы гордимся тем, что именно грузинский писатель Константинэ Гамсахурдиа прославил на весь мир абхазскую культуру и быт, доблесть и силу духа абхазского народа в своем романе “Похищение луны”. Грузинские ученые Николай Марр, Арнольд Чикобава, Кетеван Ломтатидзе сыграли решающую роль в основании абхазологии, систематизации грамматики абхазского языка, а грузинские историки Иванэ Джавахишвили, Симон Джанашиа, Нико Бердзенишвили и другие исследовали узловые проблемы истории Абхазии. Ведь абхазы всегда выполняли большую роль в укреплении нашего общего царства и культурном строительстве.

Мы устояли под натиском многих империй, наши братство и дружбу не смогли поколебать ни римляне, ни византийцы, ни арабы, ни турки, но вот в XIX-XX веках мы оказались лицом к лицу с вероломнейшей и жесточайшей из империй – Российской империей, которая принесла нашим народам неисчислимые бедствия. Российская империя выслала большую

часть абхазского народа, она же упразднила Абхазское княжество, упразднила Грузинское царство и задалась целью полностью ассимилировать и уничтожить наши народы. Но убедившись в том, что ей не осуществить свои замыслы одними лишь кровавыми репрессиями и геноцидом, она прибегла к испытанному средству любой империи, правя по принципу “разделяй и властвуй”, всеми силами стараясь противопоставить друг другу абхазский и грузинский народы. Несмотря на это, как отмечал сам Нестор Лакоба, даже царизму не удалось посеять рознь между абхазами и грузинами. Однако нынешняя коммунистическая империя, к сожалению, добилась этого с помощью своей агентуры, что, по ее планам, должно стать началом балканизации и либанизации Кавказа, дабы центр сохранил свои позиции и гегемонию на Кавказе.

Мы уважаем национальные и культурные права абхазского народа, Вашу государственность, ваш язык, культуру, абхазскую школу, театр, прилагаем все старания к решению спорных вопросов путем переговоров. Но, к сожалению, официальное руководство Абхазской автономной республики не проявляет должной готовности к переговорам, стоит на пути конфронтации с нами, проявляет сепаратистские тенденции, ставит под угрозу мир на территории Абхазии.

Сегодня большой шум поднялся в связи с назначением нами префекта в Гали. Как известно, согласно нашему закону, руководство автономной республики должно представить кандидатуры префектов, которые мы утверждаем. В соответствии с пояснением к этому же закону, если руководство автономной республики не представит такие кандидатуры, Президиум Верховного Совета Грузии правомочен сам назначить префекта. Невзирая на наши неоднократные просьбы, г-н Ардзинба не приехал в Тбилиси, не присутствовал на заседаниях Президиума, членом которого он является, и не представил кандидатуру префекта. Поэтому префект в Гали и был назначен нами. В настоящее время мы дали срок для представления других кандидатур, с чем г-н Ардзинба опять медлит. А причина в том, что он объявляет бойкот нашему парламенту, нашей политике в связи с префектурой и желает сохранить в Абхазии отжившей коммунистический строй, коммунистическую систему управления. Однако мы должны напомнить ему, что коммунистическая система и Советская империя обречены и кое-кто тщетно старается повернуть колесо истории вспять. Рано или поздно поробошенные народы Советского Союза сбросят ярмо коммунистической диктатуры, и тогда Ардзинба и ему подобные деятели будут расцениваться как предатели своих же народов.

Сегодня весь мир осуждает репрессивную политику Горбачева по отношению к поробошенным народам, варварское кровопролитие в Литве

и Латвии. Так что, пусть никто не надеется на советские танки. Мировая общественность осуждает также попытки центра создать “Интерфронты” и “Комитеты спасения” с целью свержения избранных народами правительств. И вот в Абхазии создан “Интерфронт”, повторяющий прибалтийскую модель, Ардзинба же постоянно призывает армию империи, что может вызвать кровопролитие в Абхазии. Он уже добился ввода внутренних войск в Бабушери, но ему следует помнить, что мир так же осудит и его поведение, как осудил прибалтийские “комитеты спасения”. Ардзинба пытается втянуть абхазский народ в опасную авантюру, которая принесет ему только позор и несчастье. Так же опасно для населения Абхазии участие во всесоюзном референдуме 17 марта, который ставит целью разжигание межнациональной розни в Абхазии, противопоставление друг другу грузин, абхазов, армян, русских и представителей других национальностей, провоцирование кровопролития. Поэтому мы призываем вас: не поддавайтесь на происки прокоммунистов, агентов наших исторических врагов и провокаторов, объявите бойкот советскому референдуму и примите участие в референдуме Республики Грузия 31 марта, который будет связан с восстановлением независимости Грузии. Независимая Грузия даст вам гораздо больше, чем модернизированная советская империя, цель которой – ассимиляция малых народов и их руссификация. В самобытной Грузии будет существовать подлинно самобытная Абхазия, с подлинным самоуправлением, как это было на протяжении многих столетий существования единого царства абхазов и грузин.

Да здравствует наше историческое братство, единство и независимость!

Да пребудет с нами Господь любви и истины!

С любовью и уважением

Звиад гамсахурдиа

12 марта 1991 г.